

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

### ელგი

### ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელგი ს/ნ 231172432 (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი ალაზნის გამზ #75

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

დაფუძნდა 2010 წლის 30 მარტს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%- იანი წილის მფლობელია კონსტანტინე მახათელაშვილი.

კომპანიის მოქმედი დირექტორებია: კონსტანტინე მახათელაშვილი, 20001008614 და ივანე გოგიაშვილი, 20001031993

კომპანიას გააჩნია შვილობილი კომპანიები: შპს ექსპო კახეთი (სნ 231289753 ) 67% წილით და შპს კონკორდ თელავი (სნ 431437983) 50% წილით

#### 2. მომზადების საფუძვლები

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2022 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრით დამთავრებული დღისათვის 12 თვიან პერიოდს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2021 წლის შესადარის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

#### 3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი.

#### 4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფული და ფულის ეკვივალენტები



წარმოდგენილია შემდეგნაირად 31.12.2022

|                                             |      |
|---------------------------------------------|------|
| ეროვნული ვალუტა სალაროში და რეზიდენტ ბანკში | 7019 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში              | 81   |

7100

#### 5.სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისაგან, რომელზეც კომპანიამ დამკვეთს/მყიდველს მიაწოდა მომსახურება/საქონელი, აღიარდა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან - სასტუმრო მომსახურებიდან.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

წარმოდგენილია შემდეგნაირად 31.12.2022

|                                          |       |
|------------------------------------------|-------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 18120 |
|------------------------------------------|-------|

#### 6.სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

არასავაჭრო პროფილის მიუხედავად სასაქონლო მატერიალური მარაგების (რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში) ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამისი ანგარიშზე მისი გამოყენების ფორმის მიხედვით. (ძირითადი სახეები: საკვები პროდუქტები, სასმელები, სხვა სამეურნეო საქონელი და საწვავი). გახარჯული სასაქონლო მატერიალური მარაგები ანგარიშიდან ჩამოიწერება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, საშუალო შეწონილი მეთოდით. სასაქონლო მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში).

#### მარაგები

31 დეკემბერი 2022 თვის წარმოდგენილია შემდეგი სახით

31.12.2022

|                                    |        |
|------------------------------------|--------|
| კვების პროდუქტები                  | 7248   |
| სხვა სამეურნეო საქონელი და საწვავი | 164108 |

171356

#### 7.ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება შესყიდვის ფასს დამატებული ყველა ის დანახარჯი რომელიც აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანადაა საჭირო.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება როგორც თვითღირებულების ისე გადაფასების მოდელით

თვითღირებულების მოდელი :

კომპანია იმ ძირითად საშუალებებს რომლების არ განეკუთვნება შენობა ნაგებობების ჯგუფს აღრიცხავს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით - თვითღირებულების მოდელით.

გადაფასების მოდელი:

შენობა ნაგებობების ჯგუფში შემავალ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მოდელით კომპანიამ 2022 წელში პირველად მოახდინა შენობა ნაგებობების ჯგუფში არსებული ქონების გადაფასება და გადავიდა გადაფასების მეთოდზე. გადაფასების შედეგად გაიზარდა აქტივის საბალანსო ღირებულება, ნამეტი ასახა საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და უწოდა „გადაფასების ნამეტი“.



### გაუფასურება

თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ხდება საბალანსო ღირებულების შემცირება ანაზღაურებად ღირებულებამდე და ეს გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### აღიარება წყდება

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### ცვეთა

მიწას, დაუმთავრებელი მშენებლობას და დაუმონტაჟებელ ძირითად საშუალებებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად:

- კომპიუტერული ტექნიკა - 3-5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 8 წ
- შენობა ნაგებობებს 30-35 წ

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. იმ აქტივებს რომელთაც გამოყენების განუსაზღვრელი ვადა გააჩნიათ, ცვეთის ნორმა განსაზღვრულია 15%-ით, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების ცვეთის პრინციპების შესაბამისად.

ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ცხრილი

| დასახელება             | მიწის<br>ნაკვეთი | შენობები | სატრ<br>საშუალებები | მანქანა<br>დანადგარები | სხვა ძირ<br>საშუალებ<br>ი | არამატე<br>რ აქტ | სულ     |
|------------------------|------------------|----------|---------------------|------------------------|---------------------------|------------------|---------|
| 31.12.2021             | 1392163          | 2881194  | 175943              | 29695                  | 154543                    | 1348             | 4634886 |
| შემოსვლა/კაპიტალიზაცია | 27000            | 359088   | 0                   | 7881                   | 24774                     | 620              | 419363  |
| გასვლა/ჩამოწერა        | -76545           | -100118  | 0                   | 0                      | 0                         | 0                | -176663 |
| 31.12.2022 წელი        | 1342618          | 3140164  | 175943              | 37576                  | 179317                    | 1968             | 4877586 |
| დაგროვილი ცვეთა        |                  |          |                     |                        |                           |                  | 0       |
| 31.12.2021             | 0                | -177350  | -49564              | -11291                 | -41616                    | 0                | -279821 |
| ცვეთის ხარჯი           |                  | -90054   | -19947              | -6267                  | -24128                    | 0                | -140396 |
| გასვლა                 |                  | 0        | 0                   | 0                      |                           |                  |         |
| 31.12.2022 წელი        | 0                | -267404  | -69511              | -17558                 | -65744                    | 0                | -420217 |
| საბალანსო ღირებულება   |                  |          |                     |                        |                           |                  | 0       |
| 31.12.2022             | 1342618          | 2872760  | 106432              | 20018                  | 113573                    | 1968             | 4457365 |

### გ.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურებისათვის მომავალში გადასახდელ საკომპესაციო თანხას და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები



31.12.2022

|                                           |       |
|-------------------------------------------|-------|
| ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 49485 |
| საგადასახადო ვალდებულება                  | 5330  |

54815

**9. სესხები და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები:**

ა) სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით, (მსს ფასს მე-11 განც) ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ბ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებიც გაიწია ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით, მ.შ. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

გ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არ კაპიტალიზირდება.

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

წარმოდგენილია შემდეგნაირად

|                         |         |
|-------------------------|---------|
| 31.12.2021              | 1278917 |
| სესხის აღება            | 57982   |
| სესხის დაფარვა          | -247474 |
| 31.12.2022 მდგომარეობით | 1089425 |

**10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლობები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განასკვეთების შესაბამისად.

**11. გადასახადები**

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის ხარჯს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

**11. ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა.**

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

**12. საწესდებო კაპიტალი**

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების

საწესდებო კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ



მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორის მიერ და პარტნიორის გადაწყვეტილებით.

| დასახელება                 | მფლობელთა<br>კაპიტალი | მოგება/ზარალი | სულ<br>კაპიტალი |
|----------------------------|-----------------------|---------------|-----------------|
| 31.12.2021 მდგომარეობით    | 118395                | 148208        | 266603          |
| კაპიტალის ზრდა             | 0                     |               | 0               |
| კაპიტალის შემცირება        | 0                     |               | 0               |
| 2022 წლის ფინანსური შედეგი |                       | -97584        | -97584          |
| 31.12.2022 მდგომარეობით    | 118395                | 50624         | 169019          |

### 13. ამონაგები

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე, ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ მომსახურების რეალიზაციის საფუძველზე, ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით.

ამონაგები

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    |            |
|------------------------------------|------------|
|                                    | 31.12.2022 |
| შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან | 692922     |
| შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან  | 106093     |
|                                    | 799015     |

### 14. ხარჯები

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                       |            |
|---------------------------------------|------------|
|                                       | 31.12.2022 |
| ხელფასი                               | -187233    |
| ცვეთა                                 | -140396    |
| საპენსიო ხარჯი                        | -3272      |
| ბანკის მომსახ                         | -2135      |
| ძირ საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი | 0          |
| დაზღვევა                              | -950       |
| საგადასახადო ხარჯი                    | -35282     |
| საწვავის ხარჯი                        | -19270     |
| კომუნალური და კომუნიკაციის            | -33288     |
| სხვა საერთო ხარჯი                     | -125378    |
|                                       | -547204    |

### 15. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი მომზადებულია პირდაპირი მეთოდის საფუძველზე და მომზადებულია სახსრების მოძრაობის საძირკის საძირკიდან: საოპერაციო, საინვესტიციო და

საფინანსო საქმიანობიდან. საოპერაციო საქმიანობა საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობაა. მაშასადამე, საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები, საზოგადოდ, წარმოიშობა ისეთი სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისა და გარემოებების შედეგად, რომლებიც გაითვალისწინება მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. საინვესტიციო საქმიანობა მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ისეთი ინვესტიციების შეძენასა და გასვლას, რომლებიც არ შედის ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემადგენლობაში. საფინანსო საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები.

|                                                                 |            |
|-----------------------------------------------------------------|------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                       | 31.12.2022 |
| საოპერაციო საქმიანობიდან - წმინდა ფულადი ნაკადები               | -239755    |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი - წმინდა ფულადი ნაკადები | 0          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი - წმინდა ფულადი ნაკადები    | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა /გასვლა                               | -239755    |
| ვალუტის კურსის ცვლილება                                         |            |
| ფული პერიოდის დასაწყისში                                        | 246855     |
| ფული პერიოდის ბოლოს                                             | 7100       |

#### 16. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, ბალანსის შედგენის თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის ნების დართვის თარიღამდე (2022 წლის 24 სექტემბერი).

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომ, არ მომხდარა ისეთი მაკორექტირებელი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დირექტორი

კონსტანტინე მახათელაშვილი





შპს ელგი  
ს/ნ: 231172432

ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                         | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|-----------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 7100       | 246855     | 311153     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 18120      | 14497      | 35876      |
| ავანსებად დასესხებად გაცემული ფულადი სახსრები |            | 1425       |            |
| მარაგები                                      | 171356     | 36100      | 30447      |
| მზა პროდუქცია                                 |            | 402        |            |
| სხვა                                          | 171356     | 35698      | 30447      |
| საინვესტიციო ქონება                           |            |            |            |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                    | 800        | 0          |            |
| ბიოლოგიური აქტივები                           |            |            |            |
| თვითღირებულების მოდელით                       |            |            |            |
| გადაფასების მოდელით                           |            |            |            |
| გუდვილი                                       |            |            |            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                  |            |            |            |
| ძირითადი საშუალებები                          | 4457365    | 4532415    | 2299182    |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში             |            |            |            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                    |            |            |            |
| სულ აქტივები                                  | 4654741    | 4867392    | 2676658    |
| ვალდებულებები                                 |            |            |            |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 49485      | 28728      | 40190      |
| საგადასახადო ვალდებულებები                    | 5330       | 2763       | 45193      |
| გამოუმუშავებელი შმოსავალი                     |            | 1020       |            |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები               | 1089425    | 1278917    | 1284394    |
| მიღებული გრანტები                             |            |            |            |
| სხვა ვალდებულებები                            | 95483      | 7262       |            |
| სულ ვალდებულებები                             | 1239723    | 1318690    | 1369777    |
| საკუთარი კაპიტალი                             |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი                              | 118395     | 118395     |            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)     | 3296623    | 32983      | 1306881    |
| გადაფასების რეზერვი                           |            | 3361224    |            |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები          |            |            |            |
| სულ საკუთარი კაპიტალი                         | 3415018    | 3512602    | 1306881    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები        | 4654741    | 4831292    | 2676658    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                     | 1          | 15922      | 35876      |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                | 1          | 39774      |            |

დირექტორი:

/კ. მახათელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/ე. ფარეშვილი/



შპს ელგი

ს/ნ: 231172432

საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                                       | 31.12.2022     | 31/12/2021     |
|------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ნეტო ამონაგები                                             | 799015         | 605642         |
| საქონლის გაყიდვიდან                                        |                |                |
| მომსახურების გაწევიდან                                     |                |                |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                               |                |                |
| სხვა                                                       |                |                |
| გაყიდვების თვითღირებულება                                  | -323740        | -69297         |
| საწყისი მარაგები                                           |                |                |
| მარაგების შესყიდვა                                         |                |                |
| გადამუშავების დანახარჯები                                  |                |                |
| საბოლოო მარაგები                                           |                |                |
| <b>საერთო მოგება</b>                                       | <b>475275</b>  | <b>536345</b>  |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                 |                |                |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                   | -187233        | -100425        |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                 | -140396        | -49467         |
| საპროცენტო შემოსავალი                                      |                |                |
| საპროცენტო ხარჯი                                           | -29095         | -22198         |
| იჯარის ხარჯი                                               |                |                |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                   | -219575        | -211490        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                              | <b>-576299</b> | <b>-383580</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                   | <b>-101024</b> | <b>152765</b>  |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა |                |                |
| წმინდა შემოსულობა                                          |                | -115453        |
| მიღებული დივიდენდები                                       |                |                |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                    | 3440           | 16322          |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე             | -97584         | 53634          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  |                |                |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                     | -97584         | 53634          |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                   |                |                |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი                  |                | -14750         |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                     |                |                |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                        | -97584         | 38884          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში        | 3512602        | 1306881        |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)             |                |                |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                      |                | 2166837        |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                  |                |                |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს             | 3415018        | 3512602        |

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



*(Handwritten signatures)*

/კ. მახათელაშვილი/

/ე. ფარეშიშვილი/



**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                       | 31.12.2022     | 31/12/2021    | 31/12/2020    |
|-----------------------------------------------------------------|----------------|---------------|---------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან - წმინდა ფულადი ნაკადები               | -239755        | -20298        | 151639        |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი - წმინდა ფულადი ნაკადები |                | 16000         | 0             |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი - წმინდა ფულადი ნაკადები    |                | -60000        | 0             |
| <b>ფულადი სახსრების შემოსვლა /გასვლა</b>                        | <b>-239755</b> | <b>-64298</b> | <b>151639</b> |
| ვალუტის კურსის ცვლილება                                         |                | 0             | 0             |
| ფული პერიოდის დასაწყისში                                        | 246855         | 311153        | 159514        |
| ფული პერიოდის ბოლოს                                             | 7100           | 246855        | 311153        |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



/კ. მახათელაშვილი/

/ე. ფარეშიშვილი/



შპს ელგი

ს/ნ: 231172432

**ფინანსური მდგომარეობა**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                  | <b>31/12/2022</b> | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 7100              | 246855            | 311153            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 18120             | 14497             | 35876             |
| ავანსებად დასესხებად გაცემული ფულადი სახსრები |                   | 1425              |                   |
| <b>მარაგები</b>                               | <b>171356</b>     | <b>36100</b>      | <b>30447</b>      |
| მზა პროდუქცია                                 |                   | 402               |                   |
| სხვა                                          | 171356            | 35698             | 30447             |
| საინვესტიციო ქონება                           |                   |                   |                   |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                    | 800               | 0                 |                   |
| ბიოლოგიური აქტივები                           |                   |                   |                   |
| თვითღირებულების მოდელით                       |                   |                   |                   |
| გადაფასების მოდელით                           |                   |                   |                   |
| გუდვილი                                       |                   |                   |                   |
| სხვა არამატერიალური აქტივები                  |                   |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                          | 4457365           | 4532415           | 2299182           |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში             |                   |                   |                   |
| <b>სხვა გრძელვადიანი აქტივები</b>             |                   |                   |                   |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>4654741</b>    | <b>4867392</b>    | <b>2676658</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                   |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 49485             | 28728             | 40190             |
| საგადასახადო ვალდებულებები                    | 5330              | 2763              | 45193             |
| გამოუმუშავებელი შმოსავალი                     |                   | 1020              |                   |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები               | 1089425           | 1278917           | 1284394           |
| მიღებული გრანტები                             |                   |                   |                   |
| <b>სხვა ვალდებულებები</b>                     | <b>95483</b>      | <b>7262</b>       |                   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | <b>1239723</b>    | <b>1318690</b>    | <b>1369777</b>    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                   |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი                              | 118395            | 118395            |                   |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)     | 3296623           | 32983             | 1306881           |
| გადაფასების რეზერვი                           |                   | 3361224           |                   |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები          |                   |                   |                   |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>3415018</b>    | <b>3512602</b>    | <b>1306881</b>    |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>4654741</b>    | <b>4831292</b>    | <b>2676658</b>    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                     | 1                 | 15922             | 35876             |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                | 1                 | 39774             |                   |

დირექტორი:

/კ. მახათელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/ე. ფარეშიშვილი/

შპს ელგი

ს/ნ: 231172432

საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                                       | 31.12.2022     | 31/12/2021     |
|------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ნეტო ამონაგები                                             | 799015         | 605642         |
| საქონლის გაყიდვიდან                                        |                |                |
| მომსახურების გაწევიდან                                     |                |                |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                               |                |                |
| სხვა                                                       |                |                |
| გაყიდვების თვითღირებულება                                  | -323740        | -69297         |
| საწყისი მარაგები                                           |                |                |
| მარაგების შესყიდვა                                         |                |                |
| გადამუშავების დანახარჯები                                  |                |                |
| საბოლოო მარაგები                                           |                |                |
| <b>საერთო მოგება</b>                                       | <b>475275</b>  | <b>536345</b>  |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                 |                |                |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                   | -187233        | -100425        |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                 | -140396        | -49467         |
| საპროცენტო შემოსავალი                                      |                |                |
| საპროცენტო ხარჯი                                           | -29095         | -22198         |
| იჯარის ხარჯი                                               |                |                |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                   | -219575        | -211490        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                              | <b>-576299</b> | <b>-383580</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                   | <b>-101024</b> | <b>152765</b>  |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა |                |                |
| წმინდა შემოსულობა                                          |                | -115453        |
| მიღებული დივიდენდები                                       |                |                |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                    | 3440           | 16322          |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე             | -97584         | 53634          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  |                |                |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                     | -97584         | 53634          |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                   |                |                |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი                  |                | -14750         |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                     |                |                |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                        | -97584         | 38884          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასა              | 3512602        | 1306881        |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)             |                |                |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                      |                | 2166837        |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                  |                |                |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლ               | 3415018        | 3512602        |

დირექტორი:

/კ. მახათელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/ე. ფარეშიშვილი/



**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                | <b>31.12.2022</b> | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
|-----------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან - წმინდა ფულადი ნაკადები               | -239755           | -20298            | 151639            |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი - წმინდა ფულადი ნაკადები |                   | 16000             | 0                 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი - წმინდა ფულადი ნაკადები    |                   | -60000            | 0                 |
| <b>ფულადი სახსრების შემოსვლა /გასვლა</b>                        | <b>-239755</b>    | <b>-64298</b>     | <b>151639</b>     |
| ვალუტის კურსის ცვლილება                                         |                   | 0                 | 0                 |
| ფული პერიოდის დასაწყისში                                        | 246855            | 311153            | 159514            |
| ფული პერიოდის ბოლოს                                             | 7100              | 246855            | 311153            |

დირექტორი:

/კ. მახათელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/ე. ფარეშიშვილი/